ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

16 იანვარი 2015 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №2

“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ"-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილებაში (სსმ, 30. 09. 2014წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,გ) სპეციალისტის (სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, მთავარი სპეციალისტი) თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური განათლება ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები."

მუხლი 2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს ,,ე" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ე)ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების მეორე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა საშუალო განათლება მაინც, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები."

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი: ბექა შენგელია